ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №189/1541

ქ. თბილისი 20.04.2015 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე ვლადიმერ გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში - მიმწოდებელი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ტოიოტა ჰაილენდერის (სახელმწიფო ნომერი JBJ-292) ზაფხულის სეზონის ორი ცალი საბურავის BSJ 255/55R19 111V DHPS (კლასიფიკატორის (CPV) კოდი/დასახელება – 34351100/ საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის) მიწოდება.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 940.00(ცხრაასორმოცი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს და საბურავის მოხსნა-დაყენება და ბალანსირების ჩათვლით.

2.2. ერთი ცალი ზაფხულის სეზონის საბურავის BSJ 255/55R19 111V DHPS ღირებულებაა 470.00(ოთხასსამოცდაათი) ლარი;

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2015 წლის 31 მაისისა. შესაბამისი მოთხოვნიდან 3(სამი) სამუშო დღეში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №5.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი.

VIII. გარანტია

8.1. საბურავების საექსპლუატაციო ვადა(კილომეტრაჟი)-40000.00(ორმოციატასი) კმ.;

8.2. საგარანტიო პირობები საბურავების გარბენზე მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ საბურავები:

8.2.1. ექსპლუატაციაში იმყოფებიან თვლების შეყრით;

8.2.2. გამოიყენება დანიშნულების პირობებში(ტალახი, ასფალტი, ღორღი);

8.2.3. გამოიყენება არაექსტრემალურ პირობებში;

8.2.4. არ დაზიანდა ფიზიკური ზემოქმედების შედეგად;

8.2.5. თუ მასზე აღმოჩნდება გარე(ტექნიკური-არაქარხნული) დაზიანება;

8.3. საგარანტო პერიოდის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციისას, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე ერთ სამუშო დღეში.

8.4. მიმწოდებლის მიერ 8.3. პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი

ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მას დაუწესოს დამატებით ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთვის.

9.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.5 (ნოლი მთელი ხუთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

9.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

10.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების10%-ისა.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების

ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

XIII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. სხვა პირობები

14.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ინახება შემყიდველ ორგანიზაციაში, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს საგარეო საქმეთა	**შპს „თეგეტა მოტორსი“**
სამინისტრო	მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის
მის: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. 4	ხეივანი მე-12 კილომეტრი №5
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თიბისი ბანკი“
ბ/კ:TRESGE22;	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №200122900	ა/ა:GE80TB0600000024467853
ს/კ: №203836322	ს/კ: 202177205
ტელ: 294 50 00	ტელ: 224 44 44
მინისტრის მოადგილე	**დირექტორი**
ვლადიმერ გურგენიძე	**თემურ კოხოძე**
_____	_____